ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №104

2013 წლის 3 ოქტომბერი,
ქ. ბათუმი

ბსუ–ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების მიზნით საპროცედურო და საკონკურსო კომისიების შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, რსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მარტის №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის“** საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად 2013 წლის 3 ოქტომბერს გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საპროცედურო და საკონკურსო კომისიები **დანართი 1** და **დანართი 2**-ის შესაბამისად;

2. საპროცედურო და საკონკურსო კომისიების მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2013 წლის **4 ნოემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით ჩათვლით.**

3. საპროცედურო და საკონკურსო კომისიების სამუშაო არ ანაზღაურდება;

4. საკონკურსო კომისიებს ეთხოვოს სამეცნიერო ცენტრში ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 16 მარტის №39 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს **2011 წლის 10 მარტის №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის“** შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება;

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი 1.

საპროცედურო კომისიის შემადგენლობა

1. ეთერ ხეცოიძე
2. ლალი ტუღუში
3. თამილა ლომთათიძე

დანართი 2.

საკონკურსო კომისიის შემადგენლობა

1. როინ მალაყმაძე - თავმჯდომარე, ინსტიტუტის დირექტორი;
2. ნოდარ კახიძე - ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;
3. შუშანა ფუტკარაძე - განყოფილების გამგე.